ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4/19

2024 წლის 25 აპრილი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.
შეტანილ იქნას ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის №2/5 განკარგულებაში, კერძოდ: განკარგულების დანართი 5 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
მუხლი 2.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).
მუხლი 3.
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ამოქმედდეს 2024 წლის 1 მაისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მრავალფუნქციური საცურაო კომპლექსის“ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვარი

N	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი (ლარებში)
1	დირექტორი	3400
2	დირექტორის მოადგილე	2700
3	განყოფილების უფროსი	1950
4	მთავარი ბუღალტერი	1650
6	ბუღალტერი	1500
7	ადმინისტრატორი	1500
8	უფროსი სპეციალისტი	1780
9	სპეციალისტი	1680
10	საწყობის უფროსი	1550
11	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1350
12	შესყიდვების სპეციალისტი	1350
13	მატერიალურ ტექნიკური მომარაგების სპეციალისტი	1100
14	მწვრთნელი	2000
15	მაშველი	1100
16	ფიტნეს ინსტრუქტორი	1100
17	ძიძა	950
18	ექიმი	1350
19	მრეცხავ-დამლაგებელი / დიასახლისი	800
20	უფროსი მოლარე ოპერატორი	1400
21	მოლარე- ოპერატორი	1100
22	დაცვის უფროსი სპეციალისტი	1350
23	დაცვის სპეციალისტი	950
24	ტექნიკოსი	1300
25	საფილტრაციოს ოპერატორი	1100
26	მეეზოვე	1100
27	ელექტრიკოსი	1200
28	წყალბურთის მწვრთნელი	3800
29	ცურვის უფროსი მწვრთნელი	3800